სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება
№ 254

ქ. თბილისი 4 სექტემბერი 2013 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის პაატა ჭავჭანიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „მედია პორტი" (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია მეტრეველის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (მე-10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი), „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 20 აგვისტოს №1090 განკარგულების შესაბამისად ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე სხვა დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის;

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „მომსახურება" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (პროგრამა: რთველის ხელშეწყობის ღონისძიებები) „რთველი 2013"-თან დაკავშირებით, სარეკლამო მომსახურების შესყიდვა (კლასიფიკატორის CPV-79341400 კოდი) ხელშეკრულებისა და დანართ №1-ის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

3. მომსახურების მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადები: 2013 წლის 5 სექტემბრიდან 18 სექტემბრის ჩათვლით.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: საქართველო.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 75 914 (სამოცდათხუთმეტიათას ცხრაას თოთხმეტი) ლარს.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გასაწევ/გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით (მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობით) გათვალისწინებულ გადასახადებს;

4.3 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით. ფასების ცვლილება საჭიროებს მხარეთა მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით დადასტურებას.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებითა და დანართი №1-ით გათვალისწინებული მომსახურების სრული და ჯეროვანი შესრულება, კერძოდ: „რთველი-2013"-ის ფარგლებში 50 წამის ხანგრძლივობის სარეკლამო რგოლის განთავსება რუსთავი2-ის, მაესტროს, კავკასიის და ობიექტივის ეთერში, დანართში მითითებული ინტენსივობის დაცვით;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

ბ) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად უზრუნველყოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება;

გ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით დროულად მიაწოდოს მას შესაბამისი ინფორმაცია;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს შემსყიდველისგან მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და დადგენილ სტანდარტებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, მომსახურების გაწევის ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლი. ასეთ შემთხვევაში, კონტროლს განახორციელებს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

7.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (საჭიროების შემთხვევაში ასევე მოწვეული ექსპერტი) მიერ მომსახურების წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ გამოასწოროს წუნი. იმ შემთხვევაში თუ არასათანადო მომსახურების (წუნის) გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს დაუბრუნოს აღნიშნული არასათანადო (წუნდებული) მომსახურების ღირებულება;

7.3 ამ მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული არასათანადო მომსახურების გამოსწორება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9.3 თუ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა (ბოლო დღე) ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხროციელდება მომდევნო სამუშაო დღე.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეებს წარმოეშობათ რაიმე ხელშემშლელი გარემოება, რაც აფერხებს ხელშეკრულების პირობების შესრულებას, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შემაფერხებელი ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ გონივრულ (უმოკლეს) ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს

გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე კონკრეტული გასაწევის მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით, გარდა მომსახურების ვადის გონივრული ვადით გადაცილების შემთხვევაში, რაც გამართლებულია ტელეარხის პროფილაქტიკური დღეებით, სამთავრობო პირებისათვის საერთო დროის გადაცემით, ან არგასული/ხარვეზიანი რეკლამის ანაზღაურებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით და დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შესაბამისი ინფორმაციის თაობაზე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური

მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16.4. თუ ფორს–მაჟორული გარემოებები გახდა ხელშერკულების შეწყვეტის საფუძველი, შემსყიდველი მიმწოდებელს უნაზრაურებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეულ დანახარჯებს, შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე;

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, მეორე – შემსყიდველს.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

<u>შემსყიდველი</u>	<u>მიმწოდებელი</u>
სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო	**შპს „მედია პორტი“**
თავმჯდომარის მოადგილე	დირექტორი
პაატა ჭავჭანიძე	მაია მეტრეველი
ს/კ 204446965	ს/კ 205290273
იურიდ. მის.: თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6,	**იურიდ. მის.:** თბილისი, იერუსალიმის ქ. 2/5
ფაქტ. მის.: ქ. თბილისი, დ. გამრეკელი №3.	
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი	**საბანკო რეკვიზიტები:** სს „საქართველოს ბანკი”
ბ.კ. 220101222; ა/ა 200122900	ბ/კოდი BAGAGE22
ტელ.: 2378052	ა/ანგარიშის GE89 BG0000000 8782 40700
პაატა ჭავჭანიძე	მაია მეტრეველი

მიზნობრივი აუდიტორია	18+
განთავსებების რაოდენობა	95
რეიტინგების ჯამი	329,13
რუსთავი 2, მაესტრო, კავკასია	70914
ობიექტივი	5000
მთლიანი თანხა ლარში	75914

დანართი# 1

არხი	გადაცემები	სარეკლამო ბლოკი	დრო	ქრონომეტრაჟი	განთავსებების რაოდენობა	რეიტინგი	ერთი წუთის ფასი ლარში	საერთო საეთერო ღირებულება ლარში	ფასდაკლება	საერთო ღირებულება ფასდაკლების შემდეგ	რეიტინგების ჯამი	სიქტიმერი													
												05ხუთ	06პარ	07შაბ	08კვ	09ორშ	10სამ	11ოთხ	12ხუთ	13პარ	14შაბ	15კვ	16ორშ	17სამ	18ოთხ
რუსთავი 2	დილა მშვიდობისა საქართველო	შიდა	9:15	50	4	2,40	1020	3400,00	56,52	1478,32	9,60					50		50		50					50
რუსთავი 2	სიყვარული მშვენიერია სერიალი	შიდა	10:40	50	2	2,87	1105	1841,67	56,52	800,76	5,74		50											50	
რუსთავი 2	კურიერი 12:00	შემდეგ	12:24	50	4	3,68	1530	5100,00	56,52	2217,48	14,72	50					50		50				50		
რუსთავი 2	კურიერი 12:00	შემდეგ	12:24	50	4	3,70	1530	5100,00	56,52	2217,48	14,80			50	50						50	50			
რუსთავი 2	სხვა შუადღე	შიდა	13:05	50	1	3,20	1105	920,83	56,52	400,38	3,20														50
რუსთავი 2	კურიერი 15:00	შემდეგ	15:25	50	7	3,61	1700	9916,67	56,52	4311,77	25,27	50	50			50	50		50	50			50		
რუსთავი 2	კურიერი 15:00	მდე	15:00	50	4	3,73	1700	5666,67	56,52	2463,87	14,92			50	50						50	50			
რუსთავი 2	იღბლიანი ბორბალი	შიდა	16:00	50	1	3,21	1105	920,83	56,52	400,38	3,21							50							
რუსთავი 2	გააცინე და მოიგე	შიდა	16:10	50	2	3,71	1105	1841,67	56,52	800,76	7,42	50							50						
რუსთავი 2	**კურიერი 18:00**	**შიდა**	**18:25**	**50**	**4**	**4,99**	**2210**	**7366,67**	**56,52**	**3203,03**	**19,96**		**50**			**50**				**50**				**50**	
რუსთავი 2	**კურიერი 18:00**	**შიდა**	**18:20**	**50**	**4**	**4,65**	**2210**	**7366,67**	**56,52**	**3203,03**	**18,60**			**50**	**50**						**50**	**50**			
რუსთავი 2	**ტიტების დრო სერიალი**	**შიდა**	**20:10**	**50**	**2**	**5,31**	**4080**	**6800,00**	**56,52**	**2956,64**	**10,62**			**50**							**50**				
რუსთავი 2	**ტიტების დრო სერიალი**	**შიდა**	**20:35**	**50**	**4**	**5,73**	**4080**	**13600,00**	**56,52**	**5913,28**	**22,92**		**50**				**50**	**50**							**50**
რუსთავი 2	**კურიერი 21:00**	**შიდა**	**21:40**	**50**	**2**	**8,67**	**5610**	**9350,00**	**56,52**	**4065,38**	**17,34**				**50**							**50**			
რუსთავი 2	**კურიერი 21:00**	**შიდა**	**21:40**	**50**	**4**	**9,29**	**5610**	**18700,00**	**56,52**	**8130,76**	**37,16**	**50**				**50**				**50**			**50**		
რუსთავი 2	**არჩევნები**	**შიდა**	**22:25**	**50**	**1**	**7,53**	**7650**	**6375,00**	**56,52**	**2771,85**	**7,53**													**50**	
რუსთავი 2	**გააცინე და მოიგე**	**შიდა**	**22:30**	**50**	**1**	**9,59**	**5950**	**4958,33**	**56,52**	**2155,88**	**9,59**						**50**								
					51			**109225,00**		**47491,03**	**242,60**	**4**	**4**	**4**	**4**	**4**	**4**	**3**	**3**	**4**	**4**	**4**	**3**	**3**	**3**

არხი	გადაცემები	სარეკლამო ბლოკი	დრო	ქრონომეტრაჟი	განთავსებების რაოდენობა	რეიტინგი	ერთი წუთის ფასი	საეთერო ღირებულება ლარში	ფასდაკლება	საერთო ღირებულება	რეიტინგების ჯამი	სიქტიმერი													
												05ხუთ	06პარ	07შაბ	08კვ	09ორშ	10სამ	11ოთხ	12ხუთ	13პარ	14შაბ	15კვ	16ორშ	17სამ	18ოთხ
მესტრო	ახალი ამბები 12:00	შიდა	12:10	50	5	0,56	510	2125,00	30,00	1487,50	2,80	50				50		50	50					50	
მესტრო	1001 ღამე სერიალი	შიდა	15:15	50	4	3,19	850	2833,33	30,00	1983,33	12,76			50	50						50	50			
მესტრო	ახალი ამბები 15:00	შიდა	15:15	50	6	1,14	510	2550,00	30,00	1785,00	6,84		50				50		50	50			50	50	
მესტრო	1001 ღამე სერიალი	შიდა	20:05	50	3	8,19	2550	6375,00	30,00	4462,50	24,57					50		50							50
მესტრო	1001 ღამე სერიალი	შიდა	20:05	50	1	8,75	2550	2125,00	30,00	1487,50	8,75			50											
მესტრო	ახალი ამბები 21:00	შიდა	21:15	50	3	3,45	2040	5100,00	30,00	3570,00	10,35		50				50						50		
მესტრო	ყოველდღიური აბები ვასიკო ოდიშვილთან ერთად	შიდა	22:15	50	2	2,37	1700	2833,33	30,00	1983,33	4,74	50								50					
					24			**23941,67**		**16759,17**	**70,81**	**2**	**2**	**2**	**1**	**2**	**2**	**2**	**2**	**2**	**1**	**1**	**2**	**2**	**1**

არხი	გადაცემები	სარეკლამო ბლოკი	დრო	ქრონომეტრაჟი	განთავსებების რაოდენობა	რეიტინგი	ერთი წუთის ფასი ლარში	საერთო ღირებულება ლარში	ფასდაკლება	საერთო ღირებულება ფასდაკლების შემდეგ	რეიტინგების ჯამი	სექტემბერი													
												05ხუთ	06პარ	07შაბ	08კვ	09ორშ	10სამ	11ოთხ	12ხუთ	13პარ	14შაბ	15კვ	16ორშ	17სამ	18ოთხ
კავკასია	სპექტრი	შიდა	20:10	50	4	0,85	510	1700,00	20,00	1360,00	3,40							50		50				50	50
კავკასია	დღეს 20:30	შიდა	20:45	50	4	0,52	510	1700,00	20,00	1360,00	2,08								50	50			50		50
კავკასია	სპექტრი	შემდეგ	22:00	50	2	0,66	408	680,00	20,00	544,00	1,32								50					50	
კავკასია	დღეს	შიდა	22:13	50	5	1,17	510	2125,00	20,00	1700,00	5,85							50		50			50	50	50
კავკასია	ბარიერი	შიდა	23:20	50	1	0,59	510	425,00	20,00	340,00	0,59													50	
კავკასია	ცხელი ხაზი	შიდა	22:55	50	4	0,62	510	1700,00	20,00	1360,00	2,48							50	50				50		50
					20			**8330,00**		**6664,00**	**15,72**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**0**	**3**	**3**	**3**	**0**	**0**	**3**	**4**	**4**
					95			**141496,67**		**70914,20**	**329,13**	**6**	**6**	**6**	**5**	**6**	**6**	**8**	**8**	**9**	**5**	**5**	**8**	**9**	**8**

არხი	N	განთავსება გადაცემის ან ტიხარის დრო	განთავსების პერიოდი	განთავსების ღირებულება (ლარი/1წთ)	მოცემული 50 წამიანი რგოლის ერთჯერადი განთავსების ღირებულება	განთავსებების ყოველდღიური რაოდენობა მოცემულ პერიოდში	05.09.2013 ხუთშაბათი	06.09.2013 პარასკევი	07.09.2013 შაბათი	08.09.2013 კვირა	09.09.2013 ორშაბათი	10.09.2013 სამშაბათი	11.09.2013 ოთხშაბათი	12.09.2013 ხუთშაბათი	13.09.2013 პარასკევი	14.09.2013 შაბათი	15.09.2013 კვირა	16.09.2013 ორშაბათი	17.09.2013 სამშაბათი	18.09.2013 ოთხშაბათი	ჯამური ხანგრძლივობა (წმ.) / განთავსებების რაოდენობა	ჯამური
ობიექტივი	1	ტიხარი	17:25 – 17:30	210	175	1	50	50	50		50	50	50	50	50	50		50	50	50	600 / 12	2 100
ობიექტივი	2	ტიხარი	22:25 – 22:30	300	250	1	50	50	50		50	50	50	50	50	50		50	50	50	600 / 12	3 000
							2	**2**	**2**	**0**	**2**	**2**	**2**	**2**	**2**	**2**	**0**	**2**	**2**	**2**	**1200 / 24**	**5 100**

განთავსების რაოდენობა	საერთო ღირებულება (ლარი)	ფასდაკლება	საბოლოო ღირებულება ლარი
24	5 100	1,96	5000

შემსყიდველი

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო

თავმჯდომარის მოადგილე

პაატა ჭავჭანიძე

ს/კ 204446965
იურიდ. მის.: თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6,
ფაქტ. მის.: ქ. თბილისი, დ. გამრეკელი №3.
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი
ბ.კ. 220101222; ა/ა 200122900
ტელ.: 297 41 03

პაატა ჭავჭანიძე

მიმწოდებელი

შპს „მედია პორტი"
დირექტორი
მაია მეტრეველი
ს/კ 205290273
იურიდ. მის.: თბილისი, იერუსალიმის ქ. 2/5

საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"
ბ/კოდი BAGAGE22
ა/ანგარიშის GE89 BG0000000 8782 40700

მაია მეტრეველი